ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4007675

ნომერი: AR1605486

თარიღი : 01.06.2018

გაცემის თარიღი : 11.06.2018

გაცნობის თარიღი : 11.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქარელი , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მასხულია პ/ნ 01015003627
- თბილისი მტკვრის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 1 ივნისს AR1605486 განცხადებით მომართეს გიორგი მასხულიამ და გურამ ონიანმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს

სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ქარელის ქ. №25-ში, ამხანაგობა "ქარელის ქ. №25"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.17.013.019) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 06.04.2018 წ-დან 06.04.2019 წ-ის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას გეგმებზე ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლების მითითებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა - ნახაზები შეადარა 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ნიშნულებთან დაკავშირებთ დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +19,80 ნიშნულზე, 26,40 ნიშნულზე, 29,70 და 33.00 ნიშნულზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებით თანდართული გეგმებით (დანართი: 4 ფურცელი).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3902126 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.